1919

# კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ოთხშაბათი. იანვარის 29. (იანვარის 16). 1919 წელი. № 18. ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი კლდე

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით.

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი. ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სახაზინო ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.

22/III 50 № 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

გ. იშხნელი არჩევნები და „Грузія“.

გ. ვეშაპელის სიტყვა პარლამენტში მიწის საკითხის შესახებ. (დასასრული) —

ფელეტონი. რიხტერის „სოციალისტური რესპუბლიკა“. თ. XVIII.

ც ნ ო ბ ე ბ ი.

ამერიკა დემობილიზაციას არ ახდენს.

ევროპაში ნუბარ ფაშამ მთლიან სომხეთის ახალი მთავრობა შეადგინა.

გზათა მინისტრი ი. ლორთქიფანიძე თანამდებობიდან გადადგა.

მანგლისის რაიონში სომხების რაზმები დათარეშობს.

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (გაზეთ „კლდის“ მიმართულება) საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და ქალაქ თფილისის საბჭოს არჩევნებში გამოდის

„საქართველოს ეროვნული პარტიის“ სიით

# № 8

ნინო კირილეს ასული იშხნელისა, შვილები: თამარ, ანა, გიორგი, მიხეილ, ზაქარია და კოსტანტინე; რძლები: ალექსანდრა, ირაიდა, ნინო და მერი და სიძე სვიმონ ყაუხჩიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ქ. ქუთაისში უდროოთ გარდაიცვალა ღენერალ მაიორი

## გიორგი ხარიტონის ძე ამირაჯიბი

დასაფლავება მოხდება შაბათს 1 თებერვალს, სოფ. სალოლაშენში (გორის მაზრა).

## ს ი ა № 8

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგისძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
2. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი,
3. ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
5. მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
9. გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
10. ორბელიანი გიორგი ილიას ძე; გენერალი.
11. ჯანდიერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
12. ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
13. კაპანელი (ქანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
14. ეკალაძე ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
15. ლოლობერიძე დავით სიმონის ძე; კოოპერატორი.
16. კელენჯერიძე დავით ბესარიონის ძე; პედაგოგი.
17. ციციშვილი ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
18. იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
19. ლუდუშაური ბართლომე; მღვდელი.
20. ივანიცკი ტარასი; დეკანოზი.
21. მამრაძე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
22. სიდამონ-ერისთავი ვალერიან; მხატვარი.
23. ნიჟარაძე რაფიელ; პედაგოგი.
24. კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
25. ქასრაშვილი ქსენოფონე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

## ს ი ა № 8

«საქართველოს ეროვნული პარტიისა»

თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

1) ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი; გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.

2) ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.

3) ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომისიის წევრი.

4) გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; გზათა კომისიის წევრი.

5) მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი; აგრარულ კომისიის წევრი.

6) ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; პარლამენტის ყოფ. წევრი; ექიმი.

7) სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.

8) გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერ-ქიმიკოსი; კომერსანტი.

9) ციციშვილი ივანე გიორგის ძე; „მიწის მესაკუთრეთა კავშირის“ გამგეობის წევრი.

10) იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.

11) მამრაძე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.

12) მგალობლიშვილი ივანე პაატას ძე; ბანკის დამფასებელი.

13) ერისთავი რევაზ იასონის ძე; მეურნე.

14) მაჩაბელი სოლომონ ვახტანგის ძე; მეურნე.

15) ჩოლოყაშვილი სოლომონ მიხეილის ძე; აგრონომი.

16) ცაგარელი ივანე ანტონის ძე; სახლის პატრონი.

17) კალატოზიშვილი კოტე ვასილის ძე; მეურნე.

18) ციციშვილი ალექსანდრე დავითის ძე; მეურნე.

19) ყაურიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე; აგრონომი.

20) იმნაიშვილი გერასიმე; პედაგოგი.

21) ნიჟარაძე რაფიელ; პედაგოგი.

22) კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე;

23) სოლოღაშვილი ირაკლი თომას ძე; მწერალი.

თფილისი, ვარის (16).

## არჩევნები და „Грузія“

გაზეთი „გრუზია“-მემარცხენეობს. გაზეთი „გრუზია“ სოციალ-დემოკრატებს ეარშიყება. საქალაქო არჩევნების სიის მეორე ნომერთან ერთად, იგი პირველ ნომერსაც უკეთებს იმდ ფასიან რეკლამას.

თავის მეორე ნომერში გაზეთი „გრუზია“ ათავსებს ისეთს წერილს, რომელიც ამბობს რომ საქალაქო არჩევნებში თბილისში თუმცა მრავალი სხვა და სხვა სია წარდგენილი მაგრამ პირველი ორი ნომერი მიიპყრობს მთელს ყურადღებას და ეს სამართლიანიც იქნება რადგან ვისაც სწამთ ახლო მომავალში სოციალიზმის განხორციელება ე. ი. სოციალისტებს, ისინი პირველ ნომერს სოც. დემოკრატებს მისცემენ ხმას და ვინც კერძო საკუთრებას იცავენ და არ არიან სოციალისტები იმათ მეორე ნომერს უნდა მისცენ ხმა რადგან ამ ნომრით გამოდიან შეერთებულნი; ნაციონალდემოკრატები, რადიკალ დემოკრატები და უპარტიონიო.

გავსინჯოთ ახლა რამდენათ მართლად და სადათ მსჯელობს ხსენებულ წერილის ავტორი.

ჩვენ არგვინდა ჩვენში მომქმედ რომელიმე სხვა სოციალისტურ პარტიას, თუნდაც სოც. ფედერალისტებს, ვექილობა გაუწიოთ და ვსთქვათ რომ ისევ ისინი უფრო ერთხელვე დამდგარ (ალებულ) გზას შეურყევლად ადგიან და დროებით ისევ ისინი უფრო მეტს ჰპირდებიან მშრომელ ხალხს, მაგრამ ის კი უნდა ვაღიაროთ რომ „მენშევიკი“ სოც. დემოკრატები წმინდა წყლის სოციალისტები აღარ არიან; ესენი ერთის მხრივ უკიდურესი მემარცხენე სოციალისტები თუ ანარხისტები შეიქმნენ როდესაც პარტიაში უწინ უარყოფილს ექსპროპრიაციას დღეს დიდი სვლა მისცეს თავიანთი მიწების უფასოთ ჩამორთმევით ან უკეთ რომ ვსთქვათ წართმევით; მეორეს მხრივ ესენი მარჯვნივ გადახარენ როდესაც თავიანთ კონცეტრაცია-პროლეტარიზაციის უხვევენ და წვრილ კერძო მესაკუთრეებს „აძლიერებენ“ რასაკვირველია სხვა და სხვა მოსაზრებით; ახლა შევხოთ მეორე ნომერს სადაც მოუყრია თავი ყველა ჯურის ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ეროვნულ დემოკრატებმა უარყვეს ჩვენი წინადადება არჩევნებში საერთო სიით გამოსულიყავით და საქალაქო არჩევნებში მათ ბლოკი შეკრეს რადიკალ დემოკრატებთან და უპარტიოებთან.

გაზეთ ,,გრუზიას" აზრით ეს სამი პარტია წმინდა არა სოციალისტური პარტიები არიან, ჩვენ კი ვფიქრობთ რომ რადიკალ დემოკრატები თითქმის წაისოციალისტებენ. უპარტიონი კი ეს ისეთი პარტიის ხალხი არიან, როგორც თვით პარტიის სახელიც გვიჩვენებს, რომ ყოველ პრინციპს უნდა იყვნენ მოკლებულნი. ზოგს ამ პარტიისას იზიარებენ, ზოგს იმისას, ერთი მუხლი პროგრამისა ამ პარტიისა არ-მოსწონთ მეორე მუხლი პროგრამისა მეორე პარტიისა არ მოსწონთ ერთი სიტყვით იგი მუხლები სოციალისტებისა მოსწონთ ზოგი არა სოციალისტებისა და ამნაირათ არეულია ვითა დომხალი მათი პროგრამში, თუ კი გააჩნიათ რაიმე ამის მგზავსი.

რაც შეეხება ჩვენს გაყრილ ,,მემარცხენე ფრთას'' ეროვნულ დემოკრატებს, მათზე უკვე დაიწერა რამდენიმე წერილი ჩვენს გაზეთში და კიდევ უნდა დავუმატოთ რომ მათ შელახეს კერძო საკუთრების პრინციპი რომლესაც იგინი დასთარნახმდენ და ტაში დაუკრეს ხომერიკის მიწის კანონპროექტს

მ. იმხინელი.

## მიწის საკითხი.

### გ. ვეშაპელის სიტყვა პარლამენტში*).

სოციალ-დემოკრატიული დეკრეტები განა არ ნიშნავს მიწის საკითხის გადაწყვეტას; აგრარული რეფორმა იმას ჰქვიან, რომ უპატრონოდ მიტოვებულ სოფლებში, მიწების დატაცება მოხდა და, როგორც სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალში (,,საქართველოს ეკონომისტი'') ბ-ნი იოსებაშვილი სწერს.

,,ხარ-კამეჩის და შეძლების პატრონებმა შეიძლეს ათი, ოცი და ოცდაცამეტი დესეტინობით მოხვნა; უმთავრესად მათ გაიჩეხეს და გამოზიდეს ტყეები, ხოლო უხარკამეჩონი დარჩნენ უხნავათ და უთესავათ...

შეძლებული ნაწილი სოფლის მუშებისა ეპატრონებიან და მთლად ისაკუთრებს საუკეთესო მიწებს, მათი სიხარბე ისე შორს მიდის, რომ ერთგან რომ შემოხაზავენ და გუთნით წრეს შემოავლებენ მიწას, მას მოუხნავს სტოვებენ, ახლა სხვაგან მირბიან და იქაც იმავე წრეს შემოვლებით ისაკუთრებენ; ამნაირათ დასაკუთრებულ მიწების დახვნას, რომ თავისი ძალ-ღონით ველარ ახერხებენ, ეს ახალი მოიდის თავადები სალაღოთ აძლევენ მიწებს ხელ-მოკლე სოფლის მუშებს და ერთი ორათ უფრო მეტ ღალას ახდევინებენ მათ, ვიდრე ნამდვილი თავადები ახდევინებდნენ.

ან და იქნებ რეფორმა ის არის, რომ სოციალ-დემოკრატებმა მთელს საქართველოში, ყოველ კუთხეში მოაწყვეს მიწების ჩამომრთმევი საადგილ-მამულო კომისიები, ჩაყარეს შიგ რამოდენიმე მილიონი ფული, მერმე შეადგინეს სტატისტიკა და გაიგეს, რო მთელ საქართველოში თავისუფალი მიწა, თავისუფალი ფონდი მხოლოდ ქართლ-კახეთის სამხრეთ მაზრებში ყოფილა, ბორჩალოსა, ახალქალაქსა და ახალციხეში? და ეხლა მთელს იმერეთში საადგილ-მამულო კომისიები გაუქმებულია, მაგრამ ვინ უნდა ზიდოს ტვირთი იმ მილიონებისა, რომელიც უსაქმო და უსაჭირო კომიტეტებზე დაიხარჯა? რატომ არ მოიგონებს ის თავიდანვე თუ რას ამბობდა კ. ჩხეიძე სათათბიროში, 1909 წლის:— ,,ამიერ კავკასიაში ისეთი ,,პამეშჩიკებია'', რომ მათი მიწების კონფისკაცია ვერაფერს ხეირს მოგვცემსო... ქუთაისის გუბერნიაში 45°/o აზნაურს—2-დან 4 დესეტინამდე აქვს და 55 პროც.—8 დესეტინამდეო... რა კონფისკაცია უნდა უყოთ ასეთ პომეშჩიკებსო'' (მესამე სათათბიროს სტენოგრამები გვ. 424)—ესაა ჩვენი თავად-აზნაურობა, ჩვენი ,,ფეოდალებიო''!..

ასეთ ქვეყანაში რა საჭირო იყო ფრანგული რევოლუციის კანონების გადმოწერა''.

ახლაც რომ საქართველოს ისეთი მთავრობა ყავდეს, რომ სახელმწიფო წესით შეუწყოს ხელი მიწის მობილიზაციას ისე როგორც მოქმედებდა სადეპუტატო საკრებულოს საადგილ-მამულო კომისია, მოკლე ვადაში თავისით, მშვიდობიანათ მიწა გამოეცლებათ იმ მემამულეებს, რომელნიც მეურნეობას არ ეწევიან, და გადავა იმ გლეხობის და აზნაურობის ხელში, რომელსაც მეურნეობისათვის მეტი მიწა სჭირია და მზადაც არის შეიძინოს, თუნდაც დეკრეტის და ნოტარიუსის მოტყუებით... მხოლოდ ამას შემდეგ იქნება გონივრული სახელმწიფოს იძულებითი აპარატის ჩარევა მიწის საქმეში.

ამის მაგიერ ჩვენი სოციალ-დემოკრატია ატრუებულია და მთელს თავის პარტიულ და ,,სახელმწიფოებრივ'' საქმეს ერთი კლასის, მემამულე—თავად-აზნაურობის ეკონომიურ და პოლიტიკურ გადაშენებაზე და მოსპობაზე ამყარებს:

და ამის შედეგი ხომ მარტო ის არ არის რომ ნორმაზე მეტ მამულებში მეურნეობა ისპობა ან და ის, რომ საკუთრების პრინციპი ილახება, არა ყველაზედ უფრო საუბედუროდ ის არის, რომ საქართველოში, სადაც ასე ცოტა მიწაა ყველასათვის ერთ ნორმას აარსებენ, მკვიდრისათვისაც და გადამთიელისათვისაც, და ამგვარად ის ერთად ერთი თავისუფალი მიწის ფონდი, რომელიც არის ბორჩალოსა, ახალქალაქისა და ახალციხის მხარეში და რომელიც აქამდის ქართველ მემამულეთა საკუთრებას შეადგენდა, ამას იქით უნდა ბლვილობრივ უცხოელთა, უმთავრესად სომეხთა შორის უნდა განაწილდეს და ამის შემდეგ ეთნოგრაფიული რუკა საქართველოსი კიდევ უფრო უარესი უნდა გახდეს ჩვენთვის და ბოლოს ალბად დუშეთისა და გორის ხიზან ოსობის მოსახლეობა შეუერთდება ბორჩალოსა და ახალქალაქის სომხობას და შუაზე გაჰყოფს მთელს საქართველოს.

ჩვენ ასეთ აგრარულ პოლიტიკას მხარს ვერ დავუჭერთ: ჩვენ ნაციონალისტები ვართ და ამიტომ მოვითხოვთ ისეთ აგრარულ კანონს რომელიც ერთის მხრივ დააკმაყოფილებს ჩამორთმეულ მამულის პატრონს, მეორე მხრივ უპირატესობას მიანიჭებს მკვიდრ ქართველობას უცხოელთა: სომეხთა და ოსთა წინაშე ჩამორთმეული მიწის განაწილების დროს.

*) დასასრული.

## საქართველოს ამბები.

**ქართული გაზეთის დაკეტვა ბათუმში.**

ბათუმში ადგილობრივმა მთავრობამ შეაჩერა გაზეთ ,,სამუსულმანო საქართველოს'' გამოცემა. მიზეზათ ის მოიყვანეს, რომ რედაქციას მთავრობისაგან წინასწარი ნებართვა არ აულიათ.

**დეპეშები ქართულად.**

ტელეგრაფის უფროსმა ქავთარაძემ აცნობა ლიანდაგის ყველა უფროსსთ, რომ მიღებულია უკვე მანქანები ქართულ ენაზე, ასე რომ დეპეშების მიღება ქართულ ენაზე უკვე მოსახერხებელია.

**ბრძოლა სპეკულიაციასთან.**

თფ. სასამართლო პალატის ბრალდებელმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს ყველა ის დაგროვებული მასალა-ოქმები რომელიც სპეკულიაციის შესახებ არის შეგროვილი გადაეცეს თფ. ოლქის ბრალმდებელს.

**ხაგანგებო ბათალიონის ბოროტ-მოქმედება.**

გზათა სამინისტროს სასოფლო კომიისის სოც. რევ. და სოც-დემ. საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტმა აცნობა დეპეშით რომ კახეთის გზაზე ივრის ხიდის დამცველი სარკინისგზო ბათალიონი ხშარცვავს მცხოვრებთ და გთხოვთ მიიღოთ შესაფერი ზომებიო.

**მთავარნის მსხვერპლი.**

არამიანცის საავათმყოფოს უფროსი ორდინატორი ექიმი ციციანოვი სახადისაგან გარდაიცვალა.

**სტუდენტ ქალთა კრება.**

სამშაბათს, იანვრის 28-ს საღამოს 5-ნახ საათზე დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ქალთა ინტერპარტიული ბიუროს საერთო კრება. წევრებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ, რადგან გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები.

**მოხელეთა ყრილობა.**

დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა აუწყებს ყველა მათ წევრებს, რომ მის მიერ ამ თვის 31 რიცხვს (ახალი სტილით) დილით 10 საათზე ქ. ქუთაისში დანიშნულია მორიგი წლიური დელეგატთა ყრილობა.

## ფელეტონი.

### სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა

**რიხტერის კრიტიკა**

თავი XVIII

**საოჯახო საქმეები**

წარსული კვირა წინანდელს არა ჰგავდა. როგორც იყო ჩემმა ცოლმა ნებართვა მიიღო ანიას ნახვისა. წესრიგის დასაცავად ისე იქცევიან დიდს საალმზრდელო დაწესებულებებში, რომ მშობლებს მხოლოთ თანდათანობით აძლევთ ნებართვა შვილების ნახვისა. როგორ ელოდებოდა ჩემი ცოლი თავის გოგონას ნახვას! გულდმოდგინეთ ჩაალაგა სხვა და სხვა ტკბილეულები და მისი საყვარელი სათამაშოები. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ტალანში უნდა დაეტოვებინა დედას. ბავშვებს ნებას არ აძლევდნენ განსაკუთრებული სათამაშოები ჰქონოდათ: ეს არ შეჰფერის სოციალურ თანასწორობის აღზრდის საქმესაო. ასევეა შაქარლამების შესახებაც: ეს საზიზღად ხდება ჩხუბისა და უსიამოვნებისა არღვევს წესიერებას და სწორათ საზრდოობას აღმზრდელ დაწესებულებისასო, ჩემმა ცოლმა ჯერ კიდევ არ იცოდა ეს ახალი განკარგულება, რადგან იგი უკანასკნელ დროს სამზარეულოში მუშაობდა და არა ბავშვებთან.

და შვილის ნახვამ ვერ გამოიწვია ის აღტაცება, სიხარული და სინარნარე, რასაც დედა ელოდებოდა. ახალ მდგომარეობაში მყოფი ბავშვი უფრო ნაკლებად ეალერსებოდა დედას, ვიდრე წინად. რა საკვირველია, დიდი ხნის მოშორებული არ იყო დედას, მაგრამ პატარებს თუ თვალიდან მოშორდათ ვინმე, მალე დაივიწყებენ. ამას გარდა, საუბედუროთ ანიას დედის ნახვასთან შეკავშირებული ჰქონდა ხოლმე წარმომდგენა სათამაშოებსა და ტკბილეულობაზე. და აი, მიდის დედა ხელ ცარიელი! ინიას, მეტი რომ არა ვთქვა, ისევე იზიდავდა ამხანაგებთან თამაშობის გაგრძელება, როგორც დედის ალერსი.

ჩემს ცოლს რამდენათმე ფერწასული და გამოცვლილი ეჩვენა ანია. შესაძლებელია ამის მიზეზი მხოლოთ ახალი ცხოვრების პირობები და ახალი საჭმელი იყოს. აღმზრდელ სახლებში სასტიკი წესია დამყარებული. მაგრამ როგორც ყველა ჩვენს დაწესებულებებში, აქაც ემჩნევა სახსრის ნაკლებულობა, და ფართო მეურნეობა ნებას არ იძლევა გადამეტებით დიდი ყურადღება ათხოვონ კერძო პირთ. თუმცა ისიცაა, რომ ბავშვები საზოგადოთ ძალიან ჩქარა იცვლებიან ხოლმე. ანია რომ ისევ ჩვენთან ყოფილიყო, ეს არ შეწუხებდა გამოცდილ დედას. მაგრამ ვირაგინდათა შორის რომ არის, ეს სხვაა. ამიტომ დედა მისი შიშობს ავათმყოფობა არაფერი ეწყებოდეს ბავშვს და მას კი არ შეუძლიან თავიდან აიცილოს შვილს საფრთხე.

განსაკუთრებით აალელვა ჩემი ცოლი აღმზრდელ სახლის ერთ ერთ ზედამხედველ ქალის ლაპარაკმა. ჩემი ცოლის ჩივილზე მშობელთა და შვილების გაშორების შესახებ ამ ქალმა მკვახედ უპასუხა: ,,ამ წუწუნს ჩვენ აქ ყოველ დღე ვისმენთ. უგონო პირუტყვიც კი ჩქარა ურიგდება იმას; რომ შვილს ართმევენ; მით უმეტეს უნდა შეურიგდნენ ამას ქალები, რომელნიც მოაზროვნე არსებათ ეკუთვნიან'',

ჩემ ცოლს უნდოდა აღმზრდელ სახლის გამგეობასთან ეჩივლა ამ ქალის უზრდელობა, მაგრამ მე დაუშალე, რადგან ამ საჩივრის შედეგი ანიასადმი ცუდათ მოპყრობაში არ გამოხატოს ამ ქალმა მეთქი. ამ ქალს არასოდეს არ ჰყოლია შვილები, ეხლაც ვერ უშოვნია ქმარი, თუმცა არა ერთხელ უსარგებლნია ახალის სქესობრივი სწორუფლებიანობით და წინადადება მიუცია მამაკაცთათვის შემირთეთო.

ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო ჩემი ცოლი აღმზრდელ სახლიდან, რომ პაპა მოვიდა. მოხუცი ძლივს-ძლივობით ამოვიდა დაკლაკნილ ბნელ კიბეზე, რომელიც ჩვენს სადგომს ჰქონდა. გამეხარდა, რომ ჩემი ცოლი შინ არ იყო, რადგან მაშის ჩივილი კიდევ უფრო გულს მოუკლავდა მას.

მართალია, მოხუცის ყველა ჩივილი ეხებოდა მხოლოთ გარეგან, სხვათა შორისს საგნებს. მაგრამ ბებრები ისეთს უმნიშვნელო ჩვეულებებს არიან შეთვისებულნი, რომელთაც აქ ტლანქად უშლიდნენ. ავათ ვართ, ამბობდა პაპა, ხან აქ მეტკინება, ხან იქ დამადგება ჭვალიო. გარეგნობით მე ვერ შევამჩნიე ცვლილება; მაგრამ ეხლა მეტი დრო აქვს პაპას ყურადღება მიაქციოს თავის თავს, ვიდრე წინად, როცა ჩვენს სახლში ხან ერთი ართობდა და ხან მეორე. წინად ჩემთანაც სიამოვნებით შემორე- იხედავდა ხოლმე სახელოსნოში რომ რიიმე დამხმარებოდა. თუმცა იმისი ნამუშევარი დიდათ არაფრად ღირდა, მაგრამ ეს ართობდა მას. მოხუცთათვის უსაქმურობა სიკეთე არ არის: რაც უნდა ბლვილი იყოს სამუშაო, ეს მათში ინტერესს იწვევს სიცოცხლისადმი, აკავშირებს აწმყოსთან და იფარავს მათ სულიერათ დაბორციელად ჩქარა მოდუნებისაგან.

არ შემეძლო მარტო გამეშვა მოხუცი თავშესაფარში. ის საშინლად აალელვა იმან, რომ ძველი მებელი აღარ იყო ჩვენს სადგომში.

საუბედუროთ, როცა მე პაპა გავაცილე და ჩემი ცოლი ჯერ კიდევ არ იყო შინ დაბრუნებული ანიადან, ჩვენთან სტუმრათ მოსულიყო ჩვენი ერნესტი. კარები დაკეტილი დაუხვდა. როგორც თვის სიყრმის ამხანაგ მეზობლის ვაჟისათვის ეთქვა, საშინელმა სევდამ თურმე გააბედვინა თავისუფალ საათით ესარგებლნა დედ-მამის სანახავათ. იგი აქამდე ვერ შეეჩვია აღმზრდელ სახლს. მუდამ კითხვა, წერა, ზეპირათ სწავლა არ მოსწონს და არა. მას სურს ხელოსანი გამოვიდეს და მხოლოთ ის ისწავლოს, რაც ხელოსნობას ეხება. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ჩინებული ხელოსანი დადგებოდა. მაგრამ ჩვენი სახალხო განათლების მინისტრი ბებელის აზრს იზიარებს, რომ ყოველი ადამიანი დაახლოვებით ერთნაირის ჭკუისა იბადება და ამიტომ ყველამ 17 წლამდე, როდესაც საპროფესიო სწავლება იწყება, უნდა მიიღოს თანასწორი სულიერი განვითარება, როგორც აუცილებელი საფუძველი მომავალ სოციალურ თანასწორობისა.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა.**

საქართველოს დამფუძნებელ კრების მომწყობ ცენტრალ კომისიამ დაამტკიცა საკანდიდატო სია № 14 „ესტეტიური ლიგა პატრიოტების“... ეს სია ეკუთვნის ქართველ პოეტებს და მხატვრებსა სია შესდგება ხუთი კაცისაგან: პაოლო იაშვილი აკ. ნიკოლაძე პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ვლადიმერ გუდიაშვილი დ. ალექსი არსენიშვილი.

**მკვლელის დატუსაღება.**

24 იანვარს თფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ჟორდანიამ ოთხი თვის ძებნის შემდეგ შეიპყრო ქალ. თელავის კომისარის კალანდაძის მკვლელი როსები მირიმანოვი.

**მთავრობის თავჯდომარის მოადგილე.**

ნ. ჟორდანიის ქუთაისში გამგზავრების გამო მთავრობის თავჯდომარის თანამდებობის ასრულებას შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი.

**გზათა მინისტრის გადადგომა.**

მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ერთი თვით თანამდებობისგან გაანთავისუფლეს გზათა მინისტრი ივ. ლორთქიფანიძე, თანახმად მისი თხოვნისა.

**სოციალისტ რევოლუციონერები და აგრარული კანონპროექტი.**

სოციალისტ-რევოლუციონერების საქართველოს ორგანიზაციას დადგენილი ჰქონია იმ შემთხვევაში, თუ სოც. დემოკრატების აგრარულ კანონ პროექტს პარლამენტი მიიღებდა ივ. ლორთქიფანიძე გაეწვია მთავრობიდან.

**საქონელი საქართველოსთვის.**

საქართველოს დელეგაციის ერთმა წევრმა ინგლისიდან აცნობა მთავრობას, რომ ამჟამად შესაძლებელია ეეროპიდან საქართველოში სხვადასხვა საქონელის გამოგზავნა და სთხოვა აუწყოს მას რა და რა საქონელი იქნება საჭირო საქართველოსთვის. მთავრობის სათანადო დაწესებულება უკვე შეეკითხა სახელმწიფო და კერძო სავაჭრო, სამრეწველო და სხვა დაწესებულებებს, აგრეთვე კოოპერატივების სხვილ ორგანიზაციებს, რა და რა საქონელი სჭირიათ მათ. ეს ცნობები ამ დღეებში გაიგზავნება.

**ქალაქის თვითმართველობის ნაციონალიზაცია.**

თფილისის ქალაქის თავმა განკარგულება მიხცა, რომ გამგეობის კანცელარიაში დაუყონებლივ მოუყარონ თავი ქართული ენის მცოდნე მოსამსახურეებს, რათა შესაძლებელი გახდეს სხვა დაწესებულებებსა და ორგანოებთან ქართულ ენაზე მიწერ-მოწერა.

**უთანხმოება ბორჯომის მუშებთან.**

მიწადმოქმედების სამინისტროსა და ბორჯომის სახელმწიფო მამულების მუშათა შორის უთანხმოების გამო შრომის მინისტრმა წინადადება მისცა გუბერნიის შრომის კომისარს გავლენა იქონიოს ხსენებულ მუშებზე, რომ მუშაობა არ შეაჩერონ.

**ფოთის მუშების უკმაყოფილება.**

ფოთის ნავთსადგურის უფროს გვარდიის მუშებმა შრომის მინისტრთან უჩივლეს, რომ ის უკანონოთ ეპყრობა მათ. საქმის გამოსაძიებლათ გაიგზავნა შრომის სამინისტროს რწმუნებული.

**ბოროტ მოქმედების გახშირება.**

მას შემდეგ, რაც გენ.-გუბერნატორმა ნება დართო ღამე ქუჩებში დაუბრკოლებლივ სიარული, ქალაქში ბოროტმოქმედება წინანდებურათ გახშირდა.

**ნოტარიატების ნაციონალიზაცია.**

თბილის ნოტარიუსებისგან და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთაგან შესდგა განსაკუთრებული თათბირი ნოტარიატების ნაციონალიზაციის შესახებ. თათბირმა შეუძლებელად სცნო ეხლავე შემოღება ნაციონალიზაციისა და შეიმუშავა ზომები ქართულ ენაზე სპეციალურ ტერმინოლოგიის შესამუშავებლათ.

**გადამალული საქონლის გამოჩენა.**

თბილისში ბოლო დროს ვაჭრებმა გამოაჩინეს გადამალული ფართლეულობა და სხვა საქონელი, რაც აიხსნება იმით, რომ მოკლე ხანში მოელიან ევროპიდან დიდი ძალი საქონლის მოსვლას.

**ნავთის განაწილება.**

ნავთის განმანაწილებელმა ბიურომ საქართველოს სამრეწველოების შორის 15,5000 ფუთი ნავთი გაანაწილა თებერვლისთვის.

## ჩვენი პარტია:

**ახალგაზრდათა ორგანიზაცია ზესტაფონში.**

ქ. ზესტაფონში 23 იანვარს შესდგა ზესტაფონის დამოუკიდებელ ნაციონალ დემოკრატიული ახალგაზრდათა კრება, რომელზედაც მოხდა ხელმძღვანელი კომიტეტის არჩევა. კრებამ იქონია მსჯელობა ზესტაფონის ეროვნული პარტიის სამაზრო კომიტეტის მოწოდებაზე, და დაადგინა, გაგზავნოს ახალგაზრდათა წარმომადგენლათ ამ კომიტეტში, ლ. კლდიაშვილი.

კომიტეტმა უკვე შეადგინა თავისი სამოქმედო პროგრამა სისტემატიური კრებები იქნება კვირაში ერთხელ სამშაბათობით.

ზესტაფონის ახალგაზრდათა ორგანიზაცია ენერგიულათ ეკიდება თავის საქმეს და იმედია ამ მაგალითს სხვა კუთხის ახალ გაზრდობაც მიბაძავს.

ლ. ფ.

## არჩევნების გარშემო.

**სიების შესწორების შედეგი.**

ქალაქის გამგეობამ 24 და 25 იანვარს განიხილა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩევლების განცხადებანი, რომელიც ამის წინ ხუთი დღის განმავლობაში შეტანილ იქმნა საარჩევნო სიებში. მათი მოქცევის შესახებ საარჩევნო სიების შესავსებად სულ 17 ათასამდე ამომრჩევლების განცხადებები შემოსულა. ქალაქის გამგეობამ განიხილა რა ეს განცხადებები, საერთო რიცხვიდან არ შეიწყნარა 169 განცხადება და დაადგინა: დანარჩენი სიებში გამოშვებული ზედ დამატებით სიაში მოაქციოს. პირველ ნაწილის ბიუროში წარდგენილ განცხადებებიდან ქალაქის გამგეობამ გამორიცხა 36 ამომრჩეველი, მეორე ნაწილში—71, მე-3—79, მე-4—32, მე-5—10, მე-6—56, მე-3—32 მე-8 ნაწილში ყველანი იქნენ შეტანილი დამატებით სიაში, მე-9 ნაწილში გამორიცხულ იქნენ 15, მე-10—16, მე-11—61, მე-12—17 და მე-13 ნაწილში 24 ამომრჩეველნი. ამათ გარდა დანარჩენი ამომრჩეველნი შეტანილ იქნენ ზედ დამატებითი ამომრჩეველთა სიებში, ამ ჟამათ ქალაქის საარჩევნო სიებში მოქცეულია სულ 70 ათასამდე ამომრჩეველნი.

**მოძრავი ყუთები რკინის გზაზე.**

რადგანაც ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების დროს ორ თებერვალს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე ზოგიერთი ამომრჩეველნი, რკინის გზის მსახურთაგანი, რომელნიც თფილისის სიებში არიან მოქცეულნი, მაგრამ შეიძლება რომ ვერ მოასწრონ თავიანთ უბნებში მისვლა ბიულეტენის მისაცემად, რადგან ისინი მატარებლებს დასდევენ, ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამ კატეგორიის რკინის გზის მოსამსახურეთ ამომრჩევლებისათვის ორ თებერვალს საქართველოს რკინის გზის სადგურებზე თფილისის და კახეთის რკინის გზის და სადგ. ნავთლუღში ბიულეტენების ჩასაშვები ყუთები გაგზავნოს და ამ ბიულეტენების მისაღებად საარჩევნო კომისიები დაინიშნოს.

**მოძრავი ყუთები საავადმყოფოებში.**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა აგრეთვე ერთი ყუთი ბიულეტენების მისაღებად ორ თებერვალს გაიგზავნება საავადმყოფოებში, სადაც სნეულნი გვართ... და ჰქონდნი ანუ ავადმყოფნი ამომრჩეველნი წვანან.

**არჩევნები ოზურგეთში.**

ოზურგეთი. ქალაქის არჩევნებში სოც. დემ. გაიყვანა 14 ხმოსანი, ნაციონალ დემოკრატებმა—5, სოც.-ფედერალისტებმა—1.

—

ოზურგეთი. (საკ. კორესპ.) 26 იანვარს მოხდა ოზურგეთის თვითმართველობის არჩევნები. დიდი ავდრების გამო 3354 ამომრჩევლიდან ყუთთან გამოცხადდა 1446 ამომრჩეველი, რომელთაგან სოც.-დემოკ. მიიღეს 1023 ხმა და გაიყვანეს 14 ხმოსანი. ეროვნულ დემოკრატებმა 844 ხმა. გაიყვანეს 5 ხმოსანი. სოც. ფედ. 79 ხმა, გაიყვანეს 1 ხმოსანი. შარშანდელ შემადგენლობაში სოც. დემ. ყავდათ გაყვანილი თავისი სიით 8, უპარტიო 1 და 2 ესერი ბლოკით. ესერებს ამ არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა. მოხდა შემდეგი ცვლილება: შარშანდელი უპარტიონი გამოდგენ ეროვნულ დემოკრატები. ერთის გამოკლებით ესერების ხმა მიემატა მათ, სოც. დემ. და სოც. ფედერ. დარჩენ თავიანთი ძალებით.

## ბათუმის ცხოვრება.

**ბ ა თ უ მ ი.**

იანვრის 28. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). საქალაქო არჩევნების მოხდენაზე ჯერ გუბერნატორი არაფერს ამბობს. ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული რუსეთის დროებითი მთავრობის საარჩევნო კანონით არჩევნების მოხდენა გუბერნატორს ჯერ არ დაუმტკიცებია. სამაგიეროთ გუშინ გამოიცა ბრძანება გუბერნატორისაგან, რომლის ძალით ყველა წარსულ 20 დეკემბრის შემდეგ შემოსული, სამის დღის განმავლობაში საადრესო ბიუროში მოვიდეს ჩაეწეროს და, ვისაც სურს ბათუმში დარჩენა, მან ამის შესახებ ნებართვა უნდა აიღოს გუბერნატორისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დასტოვოს ქალაქი. ეს განკარგულება ეხება აგრეთვე ყველა უსაქმო და უპროფესიო პირებს. ამ ბრძანების დამრღვევს მოელის სამი თვე ციხე, ან სამი ათასი მანეთის ჯარიმა. ყველასთვის ცხადია, ვისი შავი ხელი მუშაობს აქ და ვის წინააღმდეგაცაა მიმართული ეს ბრძანება. დღეს მოხდა ბათუმის ქართველების კრება, აირჩიეს ახალი ეროვნული საბჭო. ორმოცი წევრისგან შემდგარმა კრებამ აირჩია კომისია, რომელიც წარუდგება გენერალ გუბერნატორს და სხვათა შორის უკანასკნელ განკარგულებაზედაც ექნება მასთან საუბარი. გუბერნატორის ბრძანებით დახურული „სამუსულმანო საქართველო“ ჯერ არ გამოსულა. საოლქო საბჭოს თანაგრძნობით ექცევა მოხალისეთა ჯარს. მან ნება დართო გაატანოს ბათუმისგან ჯარის საჭიროებისთვის ხუთასი ფუთი ნავთი. ქალაქის მილიციის უფროსად დაინიშნა გუსევი. ზემო აჭარის უფროსად გაიგზავნება ბიბოშ ზადე. ართვინის სამილიციო უბნის უფროსად ტეფიკ ეფენდიევი.

## სომეხთა რაზმების თარეში.

**მანგლისის და ალბულაღის რაიონში.**

მანგლისის რაიონის კომისარი კვაჭაძე შემდეგი მოხსენება წარმოუდგინა თფილისის სამაზრო კომისარს ბ. გომართელს: „ჩემთან ხშირად შემოდიოდა განცხადებანი ახალ-სოფლის საზოგადოების მცხოვრებთაგან, რომ 14 იანვრიდან მანგლისისა და ალბულაღის რაიონების საზღვრებში გამოჩნდა დაგეთ-ხაჩინელ სომხების ოციოდე კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო, რომელიც თავს ესხმის ალნიშნულ საზოგადოების სოფლებს და არბევს პურსა და თივას, მირეკავს პირუტყვებს და სხ. როდესაც ამ თავდასხმელებმა მიიღეს საშიში სახე, ჩემ მიერ გაგზავნილი იქმნა რაზმი სამი მილიციონერისა და ადგილობრივ მცხოვრებთაგან 30 კაცისაგან უფროსი მილიციონერის, შტაბს-კაპიტან მეტრეველის მეთაურობით. რაზმი კვალ და კვალ დაედევნა ყაჩაღთა ბრბოს. გზაზე მდებარე სოფლების მცხოვრებნი რაზმს უცხადებდნენ, რომ რამოდენიმე საათის წინ გაიარა 15 შეიარაღებული კაცისგან შემდგარმა ბრბომ, რომელიც პირუტყვებს მირეკებოდა... კვალ და კვალ დევნის შემდეგ მდევარი რაზმი მიუახლოვდა მდინარე ხრამს ნახევარი ვერსის მანძილზე, სადაც თავმოყრილი იყო გატაცებული პირუტყვები, გაიყო სამ ნაწილათ და ისე შემოერტყა ამ ადგილს. ამ დროს ორი მაღლობიდან გაუჩინეს ჩვენს რაზმს დიდი ცეცხლი, როგორც თოფებით, ისე ტყვის მფრქვევლებისაგან, როგორც სროლიდან სჩანდა ბრბო შესდგებოდა 150—200 კაცისაგან. ჩვენი რაზმი იძულებული გახდა სროლითვე ეპასუხნა და ბრძოლაში ჩაბმულიყო, რაც 5 საათი გაგრძელდა... შედეგი ამ სროლისა: ჩვენის მხრით მოგვიკლეს უფროსი მილიციონერი შტაბს კაპიტანი მეტრეველი, რომლის გვამი ძლიერი ცეცხლის გამო ბრძოლის ველიდან ვერ იქმნა გამოტანილი და დაგვიჭირეს ერთი ჯარისკაცი. ყაჩაღთა მხრით მოკლულია 25 კაცამდე, ამათგან 11 ნახული გვამიდგან ახსნილი იქმნა 11 ვინტოვკა და ორი ხელის ყუმბარა. ვინაიდან ჩვენ რაზმს ეჭირა უხერხული პოზიციები და რადგან ბრბოს მაღლობები ეჭირა, რაზმს ბრძოლით დაიხია 22 ინვრის საღამოსვე და მხოლოდ 23 იანვრის 2 საათზე შესძლო ცეცხლის ალიდან გამოსვლა. რაზმი დაბრუნდა მანგლისში 24 იანვარს. მიღებულია სასწრაფო ზომები მოკლულ მეტრეველის გვამის გამოსატანად და ისეთ გამოსვლების ლიკვიდაციოთ, მაგრამ ადგილობრივ ძალებით ამ ბრბოების გაწმენდა სხვა ძალების დაუხმარებლად შეუძლებლათ მიმაჩნია, რადგან ბრბოებს უჭირავს მთის მწვერვალები, რომლებზედაც გამაგრებული ძველებური ციხეები.

აცნობებს რა ამას კომისარი კვაჭაძე შუამდგომლობს, რომ აღძრულ იქნეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა ადგილობრივ ცხოვრებლებს გაეწიოს დახმარება, რომ ეხლავე აღმოფხვრილ იქნეს მრავალ-რიცხოვანი ბრბოების თარეში, თორემ შემდეგ ეს ძლიერ საშიშის ხასიათს მიიღებს და არც ისე ადვილი იქნება მათი დასჯაო.

## უცხოეთის ამბები

## ტელეგრამები.

**საქართველოს სააგენტოსი.**

**ლატიშების გამარჯვება.**

ოფიციალური ცნობა ესტონიიდან: ჩვენი ჯავშნიანი მატარებლები და ქვეითი და ცხენოსან ჯარის რაზმები სამხრეთ ფრონტზე წინ მიიწევენ. მათ დაიჭირეს რამოდენიმე სოფელი და სადგურები ვინდგდენი... და ლოუკედორ(?) ლიუკენდორფის მიმართულებით ჩვენ ხელთ ვიგდეთ რამოდენიმე ზარბაზანი.

**სპარტაკელთა მეთაურების დევნა.**

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბოლშევიკების ლიდერი რადეკი აქნობამდე ბერლინში იმყოფება. ყოველნაირი ცნობა იმის შესახებ, რომ მან შესძლო ბერლინიდან გაქცევა, სიმართლეს მოკლებულია. მის დასაჭერად ბრძანება არის გაცემული, აგრეთვე ბრძანებაა გაცემული ცნობილ სპარტაკელების ბელადის ეიხჰორნის დასაჭერად.

**მოკავშირეთა ინფორმაცია გერმანიის შესახებ.**

ბერლინის გაზეთები დასცინიან მოკავშირეთა სახელმწიფოების პრესაში გავრცელებულ მტკიცებას, რომ ლიუდენდორფი ხელმძღვანელობს პომერანიის მხრიდან რუსის ჯარს გაზეთებს უკვირთ, ნუ თუ შესაძლებელია მოიძებნოს ისეთი მკითხველი, რომ დაუჯეროს ასეთ ცნობებს.

**ბრძოლა გერმანელებსა და ბოლშევიკებს შუა.**

გერმანიის მთავრობის მოხალისეთა რაზმებმა იანვრის 26 მდინარე ვინდავაზე დაუკუმცეს ბოლშევიკები, რომელთა ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების გერმანელებისას ალემატებოდა. ბოლშევიკები დიდათ დაზარალდენ და მდინარიდან უკან დახევის დროს დიდძალი სამხედრო მასალა ჩაუგდეს ხელში გერმანელებს. გერმანელების დანაკლისი უმნიშვნელოა.

გერმანიის მთავრობის კომისარი ლიტვიდან იუწყება, რომ ბოლშევიკებს კოვჯერ არ დაუჭერიათ. ისინი 40 ვერსის სიშორეზე იმყოფებიან. იქ დაამყარეს სადემარკაციო ხაზი, რომელიც გერმანიის მოხალისეთა ჯარს უჭირავს. 5 დღის წინათ მოლაპარაკება მოხდა ჩვენს პირდაპირ მდგომ ბოლშევიკურ პსკოვის პოლკის უფროსთან, რომელსაც განუცხადეს, რომ გერმანელები დაიკავებენ სადემარკაციო ხაზს. ამის შემდეგ ბოლშევიკები წინ არ წამოსულან, რადგანაც, როგორც ეტყობა, მოსკოვიდან ახალ განკარგულებას მოელიან. „ბერლინერ ცაიტუნგი ამ მიტაგი“ აღნიშნავს, რომ თუ ბოლშევიკებმა კოვნოს მიაღწიეს, მაშინ გერმანიის აღმოსავლეთის საზღვარი მათთვის ღია იქნება. აქედან აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოხალისეთა ჯარების მოქმედებას გერმანიის აღმოსავლეთ ოლქების დასაცავათ.

## საზავო კონფერენცია.

**ახალშენების ბედი.**

კარნაპონი, 26 იანვ. კონფერენციაზე ხუთი დიდი სახელმწიფოს გუშინდელ გადაწყვეტილების გამო უმავთულო ტელეგრაფით ცნობა მოვიდა, რომ ახალშენების ბედი არ გადაუწყვეტია იმიტომ, გადაწყვეტილი დადგენილება ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ რეიტერის პარიზის კორესპონდენტი პასუხისმგებელია შემდეგის ცნობისა: ინგლისის მთავრობა თანახმაა ჩადასცეს მეტროპოლიის, ვალედა გერმანიის ახალშენების მომავალი ბედის საკითხი ხალხთა ლიგას, როგორც კი ეს უკანასკნელი შესდგება, რომ სამშვიდობო კონფერენციამ ტყუილად დრო არ დაკარგოს.

**მსჯელობა რეზოლუციის პროექტებზე.**

საზავო კონფერენციაზე ხალხთა ლიგის დაარსების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა პრეზიდენტმა ვილსონმა, რომელმაც დასასრულ სთქვა: ჩვენ აქ ომის მოსაგებათ კი არ მოვსულვართ, არამედ მაღალი მიზნების მისაღწევათ და ჩვენც ამ მიმართულებით ვიმოქმედებთ. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: საკმარისი იყო იმ განადგურებათა ხილვა, რომელიც გერმანელებს მათ მიერ დაპყრობილ ადგილებში მოუხდენიათ, რომ მე ამ კეთილშობილური იდეის მომხრე გავმხდარიყავი, თუმცა ამასში დაეჭვებული არასდროს ვყოფილვარ. ორლანდომ აღნიშნა ამ საკითხის შესახებ კონფერენციის გადაწყვეტილების დიდი მნიშვნელობა; ლეონ ბურჟუამ სთქვა, რომ ამ ომში ჯარისკაცები იხოცებოდენ არა მარტო თავის სამშობლოსთვის, არამედ საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფათ. მან დაასახელა ყველა ის მიზეზები, რომლის გამო ჰააგაში წინათ საზავო კონფერენციის მოწვევის ცდა უნაყოფო გამოდგა. შემდეგ შეუდგენ დიდი სახელმწიფოების რეზოლიუციის პროექტების კითხვას ომის კანონების დარღვევისათვის პასუხის მგებლობის, ნავთასადგურების და წყლის და რკინის გზების საერთაშორისო მართველობისა და მუშათა კანონმდებლობის შესახებ.

ომის პასუხის-მგებლობა, მუშათა შესახებ კანონდებულებისა და გზათა მიმოსვლის კანონდებულების კომისიებში შევლენ ორ ორი წარმომადგენელი ყველა დიდ სახელმწიფოების 5 რწმუნებული. ერთხმათ დაადგინეს ორშაბათის დილიურ წესრიგში შეიტანონ კომისიებში დელეგატების არჩევა.

**შვეიცარია და საზავო კონფერენცია.**

შვეიცარიის კონფერენციის თავმჯდომარე გუსტავ ადორი, რომელიც 5 დღე იყო პარიზში. ორშაბათს ბერნში დაბრუნდა. არაფერი იციან იმ მოლაპარაკების მიზნების შესახებ, რომელიც ამ დღეების განმავლობაში სწარმოებდა ადორსა და ამ ჟამათ პარიზში მყოფ დიდ სახ... მოღვაწეთა შორის. ადორ... ბულმა პირმა ადორის სახელით შემდეგი განუცხადა „ტანის“ რედაქტორს: კონფერენციის თავჯდომარე გაემგზავრა პარიზში ფედერატიულ საბჭოს სურვილით, დიდ სახელმწიფოების მოღვაწეებთან მოსალაპარაკებლათ. გუსტავ ადორი დიდი მადლობელია პარიზის მცხოვრებლებისა იმ თანაგრძნობისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს მისდამი და განსაკუთრებით კი რესპუბლიკის პრეზიდენტისა. პრეზიდენტ ვილსონისა, საფრანგეთის მთავრობისა და მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებისა, რომლებთანაც მას საუბარი ქონდა. ადორმა მიუთითა მათ შვეიცარიის განსაკუთრებული მდგომარეობაზე ევროპის ცენტრში და მიღებულ ვალდებულებათა ასრულებაზე. მან განაცხადა სურვილი მიიღოს შვეიცარიამ მონაწილეობა იმ კომისიებში, სადაც განხილულ იქნება ხალხთა ლიგის საკითხი. ადორმა განაცხადა, რომ შვეიცარიას სურს შევიდეს ხალხთა ლიგაში თავის დამოუკიდებლობით და შინაურ პოლიტიკურ ორგანიზაციით.

## მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „ახალი კლდე“-ზე.

**გაზეთის ფასი:**

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 5.

ტელეფონი № 18—81.

## ბათუმის ქართველთა

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

**ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.**

## ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, თანახმად საარჩევნო კანონის მე-13 მუხ., რომ ქალაქის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 2 თებერვალს, დილის 9 საათიდან საღამოს ცხრა საათამდე.

## ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიგდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები, 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომლებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა, 3) ძველი სასურსათო ბარათები, 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მოცემული, დ) მოწაფეთა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მოცემული, თუ უკანასკნელთ აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2—2) სასურსათო განყოფილება ტფილისის ქალაქის გამგეობისა.

## მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“

ამით აცხადებს, რომ მას ხარფუთიდან იღებს ყოველგვარი ხილი ვაგონობით და ფუთობით

როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებათათვის ძრიელ ხელსაყრელ ფასებში.

იორმუღანლოში, მუხრანიანთ სახლი აძ. „ქართლი“.

## ქართული ლატარია.

მოქალაქენო, ნუ აგვიანებთ ბილეთების შეძენას!

## „კლდის“ ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდა ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

„ნაც.-დემოკრატიული პარტია.“

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“

მიხეილ მაჩაბელის

„მიწის საკითხი“

შალვა ქარუმიძის

საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 მანეთი.

## საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დაღმართი № ბ. სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

## ექ. დ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.

ტელეფ. №

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.